სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

მოსარჩელე: *შენიშვნა-1*

1. ასოციაცია მწვანე ალტერნატივა 2. დავით სახვაძე	ს/კ 204952676 პ/ნ 60001004285	თბილისი, 0179, ფალიაშვილის 27/29, ბინა 13 თბილისი, საიათნოვას ქ.#1
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	1. 2292773	1. 2. 593319062	1. 2 223 874	greenalt@greenalt.org david.sakhvadze@yahoo.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

ნინო გუჯარაიძე	01015010047	თბილისი, 0179, ფალიაშვილის 27/29, ბინა 13
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

	ასოციაცია მწვანე ალტერნატივა, თბილისი, 0179, ფალიაშვილის 27/29, ბინა 13
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2 292 773	599 902520	2 223 874	ngujaraidze@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: *შენიშვნა-5*

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა		თბილისი, 0105, სანაპიროს ქ. 4 თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ.7
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2996377 2990900			pr@culture.gov.ge info@geo.gov.ge
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საგანი

შენიშვნა-11

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შენიშვნა-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-13

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 და 62-ე მუხლებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართში უკანონოდ ასახული „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" დანართიდან ამოღების მიზნით:

ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27.04.2006წ, №9; ნაწ.IV;გვ.49) დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი).

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა კომისია ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამანდო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. აღნიშნული ბრძანებით ცალსახადაა დადასტურებული, რომ ამ კომისიის შექმნის მიზანია „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" კულტურის ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტების შესწავლა და შესწავლის შედეგებისაგან დამოუკიდებლად, მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2013 წლის 16 ივლისს გამოქვეყნდა სამინისტროს განცხადება, რომელშიც განმარტებულია 2013 წლის 5 ივლისს მინისტრის №03/108 ბრძანების გამოცემის საფუძველი. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია: „კომპანია "არემჯი"-ის 2013 წლის 26 აპრილის №034/13 განცხადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ინიცირებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია", რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა".

ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ და ფიზიკურმა პირმა, ირინა ღამბაშიძემ, ასევე, ფიზიკურმა პირებმა, დავით სახვაძემ, მარინე ცინცაბაძემ, ჯუმბერ ხანთაძემ, გიგო ჯანდიერმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს საქართველოს მთავრობას და მოითხოვეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების ბათილად ცნობა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის №1430 ზემოხსენებული ადმინისტრაციული საჩივარები არ დაკმაყოფილდა.

წინამდებარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით პირდაპირი და უშუალო ზიანი ადგებათ მოსარჩელეების კანონონიერ უფლებებსა და ინტერესებს, რის გამოც დარღვეული უფლების დასაცავად ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრა სასამართლოში.

1. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 და 62-ე მუხლებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი).

მტკიცებულება:

დანართი 1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის # 03/108 ბრძანება.

2. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა კომისია საყდრისის უძველესი სამთამანდო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. აღნიშნული ბრძანებით ცალსახადაა დადასტურებული, რომ ამ კომისიის შექმნის მიზანია „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" კულტურის ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტების შესწავლა და შესწავლის შედეგებისაგან დამოუკიდებლად, მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2013 წლის 16 ივლისს (გასაჩივრებული აქტის გამოცემიდან 11 დღის შემდეგ) გამოქვეყნდა სამინისტროს განცხადება, რომელის თანახმად, „კომპანია "არემჯი"-ს 2013 წლის 26 აპრილის №034/13 განცხადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ინიცირებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია", რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა".

მტკიცებულება:

დანართი 2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანება;

დანართი 3. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 ივლისის განცხადება;

3. ფაქტობრივი გარემოება

“არემჯი”-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის 2013 წლის 26 აპრილს გაგზავნილი წერილი №034/13 არ შეიძლებოდა გამხდარიყო ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მითუმეტეს, ძეგლის გადატანისათვის კომისიის შექმნის საფუძველი. არც ეროვნული და არც საერთაშორისო კანონმდებლობა არ უშვებს ეკონომიკური სარგებლის მიზნით ობიექტის არქეოლოგიური ღირებულების უგულებელყოფას; პირიქით, როგორც ეროვნული და ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ავალდებულებს დაიცვან და მოუფრთხილდნენ კულტურულ მემკვიდრეობას. ამდენად, ძეგლისათვის სტატუსის მინიჭებისას კომპანიის ეკონომიკური ინტერესების უგულებელყოფაზე მსჯელობა ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ასევე, საყდრისის საბადოზე RMG-ის წიაღით სარგებლობის მოქმედი ლიცენზიის ვადა იწურება 2014 წლის 14 აპრილს. საყდრისის საბადოზე კომპანია საქმიანობის გაგრძელებას შეძლებს 2012 წლის 29 თებერვალს 110.5 მილიონ ლარად მოპოვებული ლიცენზიის ფარგლებში. თუკი, 2006 წელს, ძეგლის სტატუსის მინიჭებამ ზიანი მიაყენა კომპანიის ინტერესს, ახალი ლიცენზიის შეძენისას კომპანია სრულად იყო ინფორმირებული სალიცენზიო ფართობზე ძეგლის არსებობის შესახებ, თუმცა არ შეუკავებია თავი ლიცენზიის შეძენისაგან.

მტკიცებულება:

დანართი 4. „კომპანია “არემჯი”-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ზურაბ ქუთელიას მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის 2013 წლის 26 აპრილს გაგზავნილი წერილი №034/13;

4. ფაქტობრივი გარემოება

არემჯი-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს თავის წერილში არ დაუყენებია ეჭვქვეშ 2006 წელს ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების კანონიერება. მეტიც, კომპანიის მიერ გარემოს დაცვის სამინისტროსათვის წარდგენილ ანგარიშებში წლების განმავლობაში მიუთითებდა ძეგლის ღირებულებასა და აღმოჩენის ფასეულობაზე ქვეყნისათვის. კომპანიის ვებ-გვერდზე კი, დღესაც განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: „2004-2007 წწ მცირე კავკასიონზე, საქართველოს სამხრეთ პროვინცია ქვემო ქართლში, ადგილ საყდრისის სენსეაციურმა აღმოჩენამ საქართველო იმ უძველესი ოქროს მწარმოებელი წვეყნის გვერდით დააყენა, როგორც ეგვიპტეა, სადაც მადნეული ოქროს მოპოვება სამთო წესით ხდებოდა. თუკი აქამდე ცნობილი იყო, რომ ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდი ოქროს მოპოვება რეცხვით იწარმოებოდა, ახლა უკვე ცხადი გახდა, რომ ძვ. წ. III ათასწ. დასაწყისში ოქროს მოპოვების ტექმონოლოგიაში უფრო შრომატევადი პროცესი ფიქსირდება, ვიდრე მდინარეში მისი რეცხვაა. დღევანდელი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე საქართველოში ოქროს მოპოვება პირდაპირ სამთო წესით დაიწყო..."

მტკიცებულება:

დანართი 5. ამონარიდები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარდგენილი 2007, 2008, 2009 და 2010 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშებიდან;

დანართი 6. არმეჯი-ის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია;

5. ფაქტობრივი გარემოება

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 ივლისს განცხადების თანახმად, კომისიის შექმნის საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის ინიციატივა, თუმცა არც სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში და არც სამინისტროს მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში არ მოიპოვება საქართველოს მთავრობის ინიციატივის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება. მხოლოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ 2013 წლის 8 ივლისს გაგზავნილი წერილიდან №01/13-2685 შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მინისტრმა

საქართველოს მთავრობის ინიციატივად განიხილა პრემიერ მინისტრის 2013 წლის 1 მაისის წერილი №14962, რომლითაც პრემიერ-მინისტრმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის განხილვისა და შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა ღ -ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის 2013 წლის 26 აპრილს გაგზავნილი წერილი №034/13. გაურკვეველი მიზეზით, საკითხის განხილვა და შემდგომი რეაგირება, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა არა კომპანიის თხოვნის კანონიერების შესწავლით, არამედ ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების კანონიერების შესწავლისა და ძეგლის გადატანის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებისათვის კომისიის შექმნით უზრუნველყო. მით უფრო, რომ სამინისტრო ინფორმირებული იყო არემჯის მიერ ძეგლის უკანონო ხელყოფის ფაქტების შესახებ.

მტკიცებულება:

დანართი 7. საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ 2013 წლის 8 ივლისის გაგზავნილი წერილი №01/13-2685;

დანართი 8. პრემიერ მინისტრის 2013 წლის 1 მაისის წერილი № 14962.

დანართი 9. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არეოლოგიური ცენტრის უფროსის, ზურაბ მახარაძის 2013 წლის 21 ტებერვლის №01/01-200 წერილი საქართველოს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს, ქალბატონ მარინე მიზანდარს.

6. ფაქტობრივი გარემოება

„„საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება, ამავე ბრძანების თანახმად, გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული დასკვნა (არ არის დათარიღებული, ამდენად უცნობია როდის მომზადდა, მრავალ უზუსტობას და ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას შეიცავს. მსჯელობა ხშირად წინააღმდეგობრივია, ტენდენციურია და სცილდება კომისიის კომპეტენციას.

მტკიცებულება:

დანართი 10. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა;

7. ფაქტობრივი გარემოება

კომისიის დასკვნის 1-ლი თავის თანახმად, ძეგლის შესაბამისი დეტალური არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, კვლევის სანებართვო დოკუმენტაცია და ოფიციალური ანგარიშები არ ყოფილა კომისიისათვის მიწოდებული, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ 2004-2005 წლების არეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშების არსებობა ვერ დასტურდება. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არქეოლოგიური კვლევების ჩატარების ფაქტს წლების განმავლობაში აღიარებდა საყდრისის საბადოზე წიაღით სარგებლობის უფლების მქონე კომპანია. ასევე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი დასკვნის

თანახმად, ტექნიკურ მეცნირებათა კანდიდატებსა და აკადემიურ დოქტორებს, ნ. შეყრილაძეს და რ. მიხელსონს შესაფასებლად გადაეცათ საყდრისის საბადოს ფარგლებში ჩატარებული არეოლოგიური კვლევის მასალები, მათ შორის - ირ. ღამბაშიძე, თ შტოლნერი და სხვ. - ოქრო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, სამთო არქეოლოგიური გათხრები საყდრისში, 2005 წლის ანგარიში. ასევე, საყურადღებოა საქართველოს არქეოლოგიური კომისიის მიერ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, ქალბატონი ირინე ღამბაშიძის სახელზე 2005 წლის 16 მაისს გაცემულია ნებართვის ასლი, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში უნდა ინახებოდეს.

მტკიცებულება:
დანართი 11: ტექნიკურ მეცნირებათა კანდიდატისა და აკადემიურ დოქტორის, ნ. შეყრილაძეს და ტექნიკურ მეცნირებათა კანდიდატისა და აკადემიურ დოქტორის რ. მიხელსონის დასკვნა
დანართი 12: საქართველოს არექეოლოგიური კომისიის მიერ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, ქალბატონი ირინე ღამბაშიძის სახელზე 2005 წლის 16 მაისს გაცემული ნებართვის ასლი

8. ფაქტობრივი გარემოება:

კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალური ცნობის მიხედვით საყდრისის არქეოლოგიურ ობიექტზე 2004-2005 წ.წ. ჩატარებული არექოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები არ მოიპოვება აკადემიის მთავარ არქივში. ხსენებული ანგარიშები, ასევე ოფიციალური ცნობით, არ მოიპოვება არც კულტურის სამინისტროში და არც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში. გაურკვეველი მიზეზებით არ მოხდა დოკუმენტაციის საქართველოს ეროვნული მუზეუმისაგან გამოთხოვა, მიუხედავად იმისა, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ინფორმირებული იყო რომ, საკვლევ ტერიტორიაზე კვლევებს სწორედ საქართველოს ეროვნული მუზეუმი ატარებდა. გარდა, ამისა სამინისტროში წარდგენილი იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის უფროსის, ზ. მახარაძის 2013 წლის 11 ივნისის წერილი, რომელშიც დეტალურად აღწერილია ძეგლის არქეოლოგიური კვლევისათვის ჩატარებული სამუშაო და არსებული სიტუაცია. წერილში, ასევე, გამოთქმულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის მზაობა ითანამშრომლოს კულტურის სამინისტროსთან, რათა კომისიისათვის მიწოდებული ყოფილიყო ობიექტური მონაცემები ძეგლის შესახებ, რომელიც დაფუძნებულია მრავალწლიან საერთაშორისო მეცნიერულ კვლევებზე. არც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და არც მინისტრის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ არ ისარგებლა ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის შეთავაზებით, ხოლო კომისიამ დასკვნაში დაწერა რომ არქეოლოგიური კველევები არ ჩატარებულა.

მტკიცებულება:
დანართი 13: საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის უფროსის, ზ. მახარაძის 2013 წლის 11 ივნისის წერილი

9. ფაქტობრივი გარემოება:
არსებული კვლევების სათანადოდ მოძიების გარეშე კომისიამ დაასკვნა, რომ (დასკვნის მე-3 თავი) „იმდენად, რამდენადაც 2006 წელს არ არსებობდა არავითარი საფუძველი ე.წ. „უძველესი მაღაროს“ ძეგლად გამოცხადებისა, რადგანაც ასეთი ობიექტი არც ცნობილი იყო და არც დადასტურებული, მისი ძეგლად გამოცხადება მოხდა იმ დროისათვის მოქმედი „კულტურული მემკვიდრეიბის დაცვის შესახებ“ კანონით, აგრეთვე ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსით დაწესებული ნორმებისა და პროცედურების უხეშად დარღვევით, რაზეც არსებობს კომისიის დასკვნა (კომისიის ოქმი №1 30.05.2013)“. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კომისიის დასკვნა. წარმოდგენილია მხოლოდ კომიის 2013 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, რომელზეც მოისმინეს თ. ჩიხრაძის მოხსენება სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის შედეგების თაობაზე. ოქმს არ ახლავს დასკვნის არსებობისა და მოხსნებაში მოყვანილი ფაქტების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

მიუხედავად იმისა, რომ დასკვნის 1-ელ თავში საუბარია არქეოლოგიური კველევებისა და ძეგლის ღირებულების დასაბუთების არ არსებობაზე, დასკვნის მე-4 თავში აღნიშნულია, რომ „არქეოლოგიური თვალსაზრისით უძველესი ოქროს მაღაროს დასაბუთება არ არის დამაჯერებელი და შეიცავს არაერთ მნიშვნელოვან და სერიოზულ ხარვეზს“. აღნიშნულიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ გარკვეული კვლევები მაინც იყო კომისიის მიერ განხილული, თუმცა არ არის მითითებული თუ რა კვლევებზეა საუბარი.

მტკიცებულება:
დანართი 10. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა;

10 ფაქტობრივი გარემოება:
კომისიის დასკვნის მე-6 თავში „ძეგლის არსებულ სტატუსთან შესაბამისობა გეოლოგიური თვალსაზრისით“ წარმოდგენილია კომისიის მთავრი არგუმენტი, რომელიც გახდა საყდრისის უძველესი მაღაროსათვის სტატუსის მოხსნის საფუძველი - კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია, რომ საყდრისის საბადოს, მათ შორის ყაჩაღიანის უბნის მადნები ძირითადად ღარიბია, ოქროს დაბალი ან საშუალო შემცველობით. ხილული ოქრო დღემდე ცნობილი არ არის, საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე შეიძლება ადგილი ჰქონოდა მხოლოდ სპილენძის და არა ოქროს მოპოვებას. ამიტომ „საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო“ სინამდვილეში ჩვეულებრივი ძველი სპილენძის მაღაროა, რომელიც მრავლად არის დაფიქსირებული საქართველოში და არ წარმოადგენს უნიკალურ მოვლენას. დასკვნაში არ არის მითითებული რა კვლევებსა და მონაცემებს დაეყრდნო კომისია ზემოთმოყვანილი მოსაზრების გამოთქმისას, აღნიშნული თავი სრულად ეყრდობა კომისიის წევრების, ა. თვალჭრელიძისა და ო. ქუცნაშვილის მიერ მომზადებულ დასკვნას, რომელიც თავის მხრივ ძეგლთან მიმართებაში განხილულ ყველა საკითხში ეყრდნობა იგივე ა. თვალჭრელიძის სხვადასხვა დროის გამოცემებს და მოსაზრებებს, რაც დაკვნის სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა, ხოლო სხვა გამოცემებზე დაყრდნობით მოყვანილი დასკვნები ეჭვის გაძლიერების საბაბს იძლევა. ასე მაგალითად, დასკვნის მე-6 გვერდზე მოყვანილია შემდეგი სახის მტკიცება: „არეოქლოგიური ძეგლი „საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო“ სინამდვილეში ასეთს არ წარმოადგენს, არამედ არის ჩვეულებრივი ადრე ბრინჯაოს ხანის სპილენძის მომპოვებელი მაღარო, რომელიც მრავლად არის გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე“. ამ წინადადების წყაროდ მითითებულია შემდეგი : I გამბასჰიდზე, აუპტმანნ, ღ. შლოტტა ანდ ყალცინ (ედს.), ეორგიენ შცჰტატზე აუს დემ ანდ დეს ოლდენენ Vლიეს. ოჰუმ, 2001. გარდა იმისა, რომ 2006 წელს ძეგლად აღიარებულ ობიექტზე მსჯელობისას მოყვანილია 2001 წლის ანგარიში, წარმოდეგნილი მოსაზრება არ ეკუთვნის გამოცემის ავტორებს.

მტკიცებულება:
დანართი 14. ყაჩაღიანის უბნის ისტორიული მაღაროს გეოლოგიური და საინჟინრო მომიხილვა, ა.თვალჭრელიძე და ო.ქუცნაშვილი.

11. ფაქტობრივი გარემოება:
კომისიამ არ განიხილა კვარციტისა დ მადნეულის (აჟამად არემჯი) საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშები, რომელსაც კომპანიები ყველწლიურად წარადგენენ ლიცენზიის გამცემ უწყებაში და რომელიც ადასტურებს რომ საყდრისის საბადოზე ოქროს მნიშვნელოვანი მარაგებია, რაც ეწინააღმდეგება დასკვნაში მოცემულ მოსაზრებას და წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ საყდრისი ნამდვილად არის ოქროს საბადო.

მტკიცებულება:
დანართი 15: ამონარიდი მადნეულისა და კვარციტის 2010 და 2011 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშიდან საყდრისის ოქრო-სპილენძის საბადოსთან დაკავშირებით

12. ფაქტობრივი გარემოება:
კომისიის დასკვნის მე-7 თავში მოყვანილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ კომისიამ განიხილა საკითხი, რომელიც მის კომპეტენციას სცილდებოდა. კერძოდ, ძეგლის, როგორც ტურისტული ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ძეგლის ტურისტულ ობიექტად გამოყენების შესაძლებლობა არანაირად არ უკავშირდება ძეგლის არეოლოგიურ ღირებულებას. არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენციიის, ლა, ვალეტა – 16.01.1992 მე-2 მუხლის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია ჩამოაყალიბოს, ყოველი სახელმწიფოსათვის შესაფერისი საშუალებები, არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის იურიდიული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს არქეოლოგიური ნაკრძალების შექმნას, თუნდაც ძეგლების ხილული ნიშნების გარეშე, მიწის ზედაპირზე თუ წყალში, მომავალი თაობებისათვის შესასწავლი მატერიალური მასალის კონსერვაციის მიზნით. პირიქით, იმავე კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ არქეოლოგიური ადგილების მნახველისათვის გახსნა და განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი მნახველის მიღების მოწყობა, ზიანს არ აყენებდეს ამ ადგილების და მათი გარემოს არქეოლოგიურ და მეცნიერულ ხასიათს.

13. ფაქტობრივი გარემოება:
კომისიამ იმსჯელა საკითხზე, რომელიც არ შედიოდა მის კომპეტენციაში. კომისიის საბოლოო დასკვნის მე-8 თავიდან და კულტურისა და ძეგლთა თაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 27 ივნისის წერილიდან ირკვევა, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გარემოს ეროვნული სააგენტოს სთხოვა მოსაზრების წარდგენა არემჯი გოლდ-ის „საყდრისი-ყაჩაღიანის“ სალიცენზიო ობიექტზე საბადოს დამუშავების შეჩერების შემთხვევაში, საინჟინრო-გეოდინამიკური სიტუაციის და გარემოს დაბინძურების შესაძლო გართულებებზე. აღსანიშნავია, რომ წიაღით სარგელობის შეჩერებისა და მისი ეკოლოგიური შედეგები საკითხი არათუ კომისიის, არამედ საერთოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კომპეტენციას სცდება.

გარდა იმისა, რომ კომისიას საერთოდ არ უნდა განეხილა აღნიშნული საკითხი, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად მომზადებული მოსაზრება (და არა დასკვნა, როგორც ეს მითითებული კომისიის საბოლოო დასკვნაში) კომისიამ ტენდეციურად არასწორი დასკვნების მისაღებად გამოიყენა. კერძოდ, გარემოს

ეროვნული სააგენტოს მოსაზრებაში აღნიშნულია, „ვიზუალურმა დათვალიერებამ გვიჩვენამ, რომ ზემოაღწერილ უბანზე სამუშაოების შეჩერება, რეკულტივაციის გაუტარებლად, უპირობოდ გამოიწვევს პროცესების მკვეთრ გაუარესებას, რასაც შედეგად მოჰყვება ფერდობის სრული დეგრადაცია. მოხდება ნაშალი გრუნტის ინტენსიური ჩარეცხვა უსახელო მდინარეში და არ გამოვრიცხავთ უხვი ატოსფერული ნალექის მოსვლის შემთხვევაში, უსახელო მდინარის კალაპოტის გადაკეტვას, შემდგომში ღვარცოფული ნაკადის ფორმირებით. რაც შეეხება ლიცენზირებული ობიექტის ოთხ უბანს, სადაც გაყვანილია დროებითი მოსისავლელი გზები, მათ არსებულ მდგომარეობაში დატოვებამ, შესაძლებელია გამოიწვიოს ფერდობული პროცესები.

საბადოს ტერიტორიაზე დაწყებული საექსპლუატაციო სამუშაოების (მათ შორის გადახსნის, გამოსატუტი მოედნების მშენებლობის, მისასვლელი გზების გაყვანის ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვა) შეწყვეტის შემთხვევაში იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ მივიღებთ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების არაკონტროლირებად ეფექტებს, რომლებიც უკავშირდებიან გადახსნილი კარიერიდან მძიმე მეტალებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების წარმოქმნას, ამტვერებასა და სხვა არაპროგნოზირებად ფაქტორებს, რასაც შედეგად მოჰყვება გარემოს გარდაუვალი და მნიშვნელოვანი დეგრადაცია. სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე სამუშაოს შეჩერებამ შესაძლებელია ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს“.

აღსანიშნავია, რომ წიაღის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, „წიაღით სარგებლობის დასრულებისას ან წიაღით სარგებლობის სხვა მიზეზით შეწყვეტისას, თუ არ არსებობს წიაღით შემდგომი სარგებლობის პერსპექტივა, სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება ეკისრება წიაღით მოსარგებლეს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. ამდენად, გაუგებარია, საერთოდ რატომ განიხილა გარემოს ეროვნულმა სააგენტომ რეკულტივაციის გაუტარებლად სამუშაოების შეჩერების პერსპექტივა. გარდა ამისა, ეროვნული სააგენტოს მიერ მომზდებული მოსაზრების თანახმად, საკვლევ ოთხ უბანზე უკვე გაყვანილია დროებითი გზები და ჩატარებულია ძებნა-ძიებითი სამუშაოები, მეხუთე უბანზე კი მიმდინარეობს საექსპლუატაცია სამუშაოები, მათ შორის გამოსატუტი მოედნების მშენებლობა - რისი ნებართვაც ღ ოლდ-ს არ გააჩნია. შესაბამისად, ეროვნულ სააგენტოს უნდა დაეფიქსირებინა ტერიტორიაზე უკანონო ქმედებების ფაქტი და არ ემსჯელა ასევე, კანონის დარვევით რეკულტივაციის გაუტარებლად სამუშაოების შეჩერების თაობაზე.

მტკიცებულება:
დანართი 16. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 27 ივნისის წერილი

14. ფაქტობრივი გარემოება:
კომისიამ განიხილა ეკონომიკური საკითხები, რომლის კომპეტენცია კომისიის არცერთ წევრს გააჩნია. გაუგებარი საფუძვლით შედარებულია ძეგლის ტურისტულ ობიეტად გადაქცევის შემთხვევაში ქვეყნის შემოსავლები და საყდრისის საბადოს დამუშავების შემთხვევაში 7-8 წლის განმავლობაში ქვეყნის ბიუჯეტში გასადახადების სახით შესული სავარაუდო თანხა. შეფასების სანდოობის დაბალ ხარისხზე მეტყველებს გაურკვეველი წყაროზე დაყრდობით მოყვანილი შემოსავლებისა და დაგეგმილი ინვესტიციების ოდენობა, რომლის ვალდებულება არსად არის დაფიქსირებული. ასევე, დასკვნას არ ახლავს აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. გარდა, ამისა ეკონომიკური სარგებლიანობის დათვლისას არ არის გათვალისწინებული გარემოსთვის მიყებული ზიანის მონეტარული ღირებულება საბადოს

სრულად ათვისების შემთხვევაში და ეროვნული მნიშვნელობის სტატუსის მქონე ძეგლისათვის წიაღის მოპოვების საბაბით სტატუსის მოხსნისა და ძეგლის განადგურებით ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შელახვით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგები.

საგულისხმოა, რომ ეკონომიკურ საკითხებზე კომისიამ არა მხოლოდ დასკვნის მიმოხილვით ნაწილში იმსჯელა, დასკვნით ნაწილში კომისია კვლავ გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და სახელმწიფო ინტერესებზეც კი იმსჯელა. კომისიამ დაადგინა, რომ „დაუშვებელია საწარმოს ფუნქციონირების შემდგომი დაუსაბუთებელი, ხელოვნურად შეფერხება, რადგან ამგვარი მიდგომა სერიოზულად აზარალებს როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს და პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს“.

15. ფაქტობრივი გარემოება:
კომისიის დასკვნების სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს:
1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტენიკური ცენტრი „დელტას“ სსიპ გრიგოლ წულიკიძის სამთო ინსტიტუტის მიერ მომზადებული „მოსაზრებები საყდრისის ძველი მაღაროს ისტორიული ძეგლის შესახებ“ .
2. საყდრისი ყაჩაღიანის უბნის უძველესი სამთამადნო ძეგლის შესახებ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის მყარი წიაღისეულის განყოფილების გამგე, გეოლოგ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი ვ.გელეიშვილისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორის ნ. ქაჯაიას დასკვნა .
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტენიკური ცენტრი „დელტას“ სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „საყდრისი უძველესი მაღაროს მადნური ქანების კვლევა .

აღნიშნული და ის გარემოება, რომ ძეგლისათვის სტატუსის მოხსნა საზოგადოებისათვის მხოლოდ მინისტრის შესაბამისი ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი, ხოლო გადაწყვეტილების საფუძვლების შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განცხადება მხოლოდ 2013 წლის 16 ივლისს (გასაჩივრებული აქტის გამოცემიდან 11 დღის შემდეგ) გამოაქვეყნა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პროცესი დახურულად, დაინტერესებული საზოგადოების არათუ მონაწილეობის, არამედ ინფორმირების გარეშე წარიმართა, რითაც სამინისტრომ დაარღვია „საზოგდოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის (ფარო, 2005) ერთ-ერთი ფუძემდებლური პრონციპი, რომლის თანახმად ხელმომწერი მხარეები აღიარებენ, „რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი არჩევანით გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობა, ამასთან პატივი სცეს სხვა ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ერთ-ერთი ასპექტია, რომელიც აღიარებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (1948), და გარანტირებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტით (1966)“; და დარწმუნებული არიან „კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრისა და რეგულირების ამჟამად მიმდინარე პროცესებში საზოგადოების ყველა წევრის ჩართვის აუცილებლობაში“.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად, ხელი არ შეუწყო ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებების წარმოდგენას საყდრისის უძველესი მაღაროს ღირებულების შესახებ მსჯელობისას; ასევე, სამინისტრომ გარდა იმისა,

რომ არ შეიმუშავა უთანხმოებათა მოგვარების პროცედურა, რათა ობიექტურად გადაწყდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა თემა ერთი და იგივე კულტურულ მემკვიდრეობას განსხვავებულ ღირებულებას ანიჭებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არათუ იზრუნა უთანხმოების მოგვარებაზე, არამედ მიზანმიმართულად არ განიხილა განსხვავებული მოსაზრებები.

მტკიცებულება:
დანართი 17. სსიპ გრიგოლ წულიკიძის სამთო ინსტიტუტის დირექტორის, ნიკოლოზ ჩიხრაძის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისადმი გაგზავნილი წერილი № 07.01-10/119, 10.07.2013
დანართი 18. საყდრისი ყაჩაღიანის უბნის უძველესი სამთამადნო ძეგლის შესახებ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის მყარი წიაღისეულის განყოფილების გამგე, გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი ვ.გელეიშვილისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორის ნ. ქაჯაიას დასკვნა.
დანართი 19. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტენიკური ცენტრი „დელტას“ სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „საყდრისი უძველესი მაღაროს მადნური ქანების კვლევა.

16. ფაქტობრივი გარემოება:
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ კომპანია არემჯი-ს კონტარქტორი კომპანიის წარმოამდგენლები 1. ომარ ქუცნაშვილი, შპს ჯეოინჟინირინგის 36% წილის მფლობელი (შპს-ს ლიცენზიის მფლობელის დაკვეთით ჩატარებული აქვს სამთო-გეოლეოგიური კველევები საყდრისის ტერიტორიაზე) და 2. ვახტანგ ლიჩელი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისათვის არემჯი გოლდის გენერალური დირექტორის მიერ 2013 წლის 27 მაისის გაგზავნილი წერილის (#341), თანახმად, არემჯი გოლდის დაკვეთით ასრულებდა არქეილოგიურ კვლევას.

მტკიცებულება:
დანართი 20. ამონარიდი მადნეულისა და კვარციტის 2011 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშიდან
დანართი 21. შპს ჯეოინჟინირინგის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
დანართი 22. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისათვის არემჯი გოლდის გენერალური დირექტორის მიერ 2013 წლის 27 მაისის გაგზავნილი წერილი#341.

17. ფაქტობრივი გარემოება:
2013 წლის 5 აგვისტოს ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ და ირინა ღამბაშიძემ, ხოლო 2013 წლის 8 აგვისტოს აგვისტოს დავით სხავაძემ, მარინე ცინცაბაძემ, ჯუმბერ ხანთაძემ და გიგო ჯანდიერმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს საქართველოს მთავრობას და მოითხოვეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების ბათილად ცნობა. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 23 აგვისტოს #27617 წერილით ასოციაცია მწვანე ალტერნატივას და ირინა ღამბაშიძეს ეცნობა, რომ ადმინისტრაციული საჩივარი

მიღებულია განსახილველად და შესაბამისად გადაეგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დასკვნის წარმოსადგენად.
მტკიცებულება:დანართი 23: მწვანე ალტერნატივასა და ირინა ღამბაშიძის ადმინისტრაციული საჩივარი;
დანართი 24: დავით სახვაძის, მარინე ცინცაბაძის, ჯუმბერ ხანთაძის, გიგო ჯანდიერის ადმინისტრაციული საჩივარი;
დანართი 25: საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 23 აგვისტოს #27617 წერილი.

18. ფაქტობრივი გარემოება:
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის #1430 განკარგულებით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" და ირინა ღამბაშიძის, დავით სახვაძის, მარინე ცინცაბაძის, ჯუმბერ ხანთაძის, გიგო ჯანდიერის ადმინისტრაციული საჩივრები არ დაკმაყოფილდა. საქართველოს მთავრობამ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს "RMG GOLD"-ის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე წარდგენილი განცხადების საფუძველზე, რომელშიც განმცხადებელმა მიუთითა, რომ საბადოს ტერიტორიაზე განთავსებული ძეგლის არსებობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა კომპანიის ინტერესებს და იმავდროულად მოითხოვა არსებული ძეგლის გადატანის შესახებ წინადადების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. საქართველოს მთავრობის მოსაზრებით საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა არ განხორციელებულა "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, რადგან სამინისტროს მიერ განხორციელდა არა ძეგლის სტატუსის მოხსნა, არამედ სადავო ბრძანებით ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანება საყდრისი-ყაჩარიანის ობიექტის მოცემული ბრძანების დანართში უკანონოდ ასახვის გამო.
საქართველოს მთავრობამ ასევე მიიჩნია, რომ ამჟამად მოქმედი არც ერთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი არ ითვალისწინების სადავო საკითხთან (უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება ან მოხსნა) დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ფართო საზოგადოების მიერ გასაჩივრების წესს და რომ კონსტიტუციით და "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მინიჭებული უფლება - ფლობდნენს ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, უზრუნველყონ მისი დაცვა და შენარჩუნება არ შეიძლება განმარტებული იქნეს იმდაგვარად, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება გაასაჩივროს სამინისტროს მიერ ხსენებულ საკითხზე მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეშლასთან. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივრის ავტორები საქართველოს მთავრობამ არ მიიჩნია დაინტერესებულ პირებად, ვინაიდან არ არის დადასტურებული მათ კანონიერ ინტერესზე პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი.

მტკიცებულება.
დანართი #26. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის განკარგულება
დანართი #27. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 26 სექტემბრის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი.

19. ფაქტობრივი გარემოება:
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანებით სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაევალა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიური ობიექტის

შესწავლის პროცესის მონიტორინგის განხორციელება და ამ მიზნით წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში სათანადო კომისიის შექმნა და ამ კომისიის ხელმძღვანელის შერჩევა კომპანია არემჯი-ს მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებისაგან. ამავე ბრძანებით სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დაევალათ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების დაუყოვნებლივ განხორციელება საყდრისი-ყაჩარიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით. ან ბრძანებით კომპანია არემჯი-ს მიეცა თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში აწარმოოს ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებს ან არ შეუქმნის დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს.

მტკიცებულება

დანართი 28. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანება.

20. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით მოსარჩელეების მიერ ადმინისტრაციული საჩივარი იქნა წარდგენილი 2013 წლის 09 სექტემბერს საქართველოს მთავრობაში, რომელიც საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის #1433 და #1435 განკარგულებებით არ დაკმაყოფილდა.

მტკიცებულება

დანართი #29 მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივარი;

დანართი #30 „ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1433, 04/10/2013

დანართი #31. დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივარი

დანართი #32. „დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება საქართველოს მთავრობა №1435, 04/10/2013

21. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულებით გაუქმდა "გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ' საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17ივლისის #3/225-#1-1/616 ერთობლივი ბრძანების მე-2 პუნქტი (დაბა საყდრისში სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონა) და მისი დანართი #2.

მტკიცებულება

დანართი 33. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულება.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება თანმდევი სამართლებრივი შედეგებით.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. მიგვაჩნია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც სზაკ-ის მე-601 მუხლის თანახმად ექვემდებარება ბათილად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული აქტი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს თანახმად სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა, ვინაიდან აღნიშნული აქტით განხორციელდა ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის უძრავი ძეგლისათვის - საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის სტატუსის მოხსნა.

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ქვეპუნქტის (2006 წლის 30 მარტს მოქმედი კანონი) კულტურის უძრავი ძეგლი არის მატერიალური კულტურის ძეგლი ან მისი ნაწილი, რომელიც ისტორიულად, ფუნქციურად და კომპოზიციურად შერწყმულია გარემოსთან და რომლის გადაადგილება შეუძლებელია ან დაკავშირებულია რთულ საინჟინრო ღონისძიებებთან და გაუმართლებელია მეცნიერული, ეთიკური და სხვა თვალსაზრისით;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანება, რომლითაც „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო” შეტანილ იქნა უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან აღნიშნული აქტით განხორციელდა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს აღჭურვა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსით.

იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანებით განხორციელდა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის“ კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნა, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება აღნიშნული უფლებამოსილება განეხორციელებინა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. კერძოდ:

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე (გარდა ამ კანონის V1 თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა), იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანომ საერთოდ არ გამოიკვლია ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილი წინაპირობების არსებობა და ისე მოუხსნა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს“ კულტურის უძრავ ძეგლს სტატუსი არა საბჭოს, არამედ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც სპეციალურად შეიქმნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანების საფუძველზე და რომლის სათაურიდანაც ნათლად იკვეთება, რომ ამ კომისიის შექმნის მიზანია „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს“ კულტურის ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტების შესწავლა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება. ამდენად, დადგენილი და დადასტურებულია, რომ კომისიას საერთოდ არ შეუსწავლია წარმოადგენდა თუ არა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“ კულტურის უძრავ ძეგლს, რითაც დაარღვია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 15.1 მუხლი, რომლის თანახმადაც ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან. ამავე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ვერ ხერხდება ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა, ასევე როდესაც მის ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები გადამოწმებას ან დამატებით შესწავლას საჭიროებს, მინისტრი უფლებამოსილია მაინც შეიტანოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში. ამ მომენტიდან მასზე ვრცელდება ამ კანონის VI და IX თავებით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. აღსანიშნავია, რომ კომისიამ არ გამოითხოვა და არ განიხილა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კვლევის შედეგები, რომლებიც საფუძვლად დაედო ძეგლისათვის სტატუსის მინიჭებას.

ადმინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაარღვია: სზაკ-ის 53.1 და 53.2 მუხლების მოთხოვნები, ვინაიდან დადგენილი და დადასტურებულია, რომ წერილობითი ფორმით გამოცემული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება არ შეიცავს არანაირ წერილობით დასაბუთებას, რამაც განაპირობა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27.04.2006 წ. , №9; ნაწ. IV; გვ.49) დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი); სზაკ-ის 53.4, 53.5, 96-ე მუხლების მოთხოვნები, ვინაიდან ასევე დადგენილი და დადასტურებულია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების დროს საერთოდ არ გამოიკვლია, არ შეისწავლა და არ შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ,

ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას. გასაჩივრებული აქტით უხეშად დაირღვა ზემოაღნიშნული ნორმის მოთხოვნები, რის გამოც ცალსახად განადგურდება „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“, რომელიც უნიკალური ისტორიული და კულტურული ღირებულებისაა, რაც დაკავშირებულია მის სიძველესთან.

ის ფაქტი, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემის შემდეგ საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის უძრავი ძეგლისათვის სტატუსის მოხსნის შესახებ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დარგის არაერთმა სპეციალისტმა დააფიქსირა და სამინისტროში შესაბამისი დასკვნები წარადგინა; ასევე, ის გარემოება რომ ძეგლისათვის სტატუსის მოხსნა საზოგადოებისათვის მხოლოდ მინისტრის შესაბამისი ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი, ხოლო გადაწყვეტილების შესახებ განცხადება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მხოლოდ 2013 წლის 16 ივლისს (გასაჩივრებული აქტის გამოცემიდან 11 დღის შემდეგ) გამოაქვეყნა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პროცესი დახურულად, დაინტერესებული საზოგადოების არათუ მონაწილეობის, არამედ ინფორმირების გარეშე წარიმართა, რითაც სამინისტრომ დაარღვია „საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის (ფარო, 2005) ერთ-ერთი ფუძემდებლური პრონციპი, რომლის თანახმად ხელმომწერი მხარეები აღიარებენ, „რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი არჩევანით გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობა, ამასთან პატივი სცეს სხვა ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ერთერთი ასპექტია, რომელიც აღიარებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (1948), და გარანტირებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტით (1966)“; და დარწმუნებული არიან „კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრისა და რეგულირების ამჟამად მიმდინარე პროცესებში საზოგადოების ყველა წევრის ჩართვის აუცილებლობაში“.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად, ხელი არ შეუწყო ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებების გამოთქმას საყდრისის უძველესი მაღაროს ღირებულების შესახებ მსჯელობისას; ასევე, სამინისტრომ გარდა იმისა, რომ არ შეიმუშავა უთანხმოებათა მოგვარების პროცედურა, რათა ობიექტურად გადაწყდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა თემა ერთი და იგივე კულტურულ მემკვიდრეობას განსხვავებულ ღირებულებას ანიჭებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არათუ იზრუნა უთანხმოების მოგვარებაზე, არამედ მიზანმიმართულად არ განიხილა განსხვავებული მოსაზრებები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი, 32-ე მუხლი.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის #1430 განკარგულება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს თანახმად სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს მთავრობას უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე

ქმედება. მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის #1430 განკარგულება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და სზაკ-ის მე-601 მუხლის თანახმად ექვემდებარება ბათილად ცნობას, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ საერთოდ არ გამოიკვლია და სათანადო შეფასება არ მისცა ადმინისტრაციულ საჩივარში სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება) ბათილობის საფუძვლებთან დაკავშირებით წარმოდგენილ საფუძვლიან პრეტენზიებს. კერძოდ:

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანება, რომლითაც „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო" შეტანილ იქნა უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან აღნიშნული აქტით განხორციელდა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს აღჭურვა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსით. მოცემული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა (ბრძანების დანართში საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ნაწილში) სამართლებრივი თვალსაზრისით გულისხმობს „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" როგორც კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის გაუქმებას,მოხსნას, რა დროსაც ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება აღნიშნული უფლებამოსილება განეხორციელებინა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით:

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე (გარდა ამ კანონის V1 თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა), იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანომ საერთოდ არ გამოიკვლია ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილი წინაპირობების არსებობა და ისე მოუხსნა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს" კულტურის უძრავ ძეგლს სტატუსი არა საბჭოს, არამედ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც სპეციალურად შეიქმნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის #03/82 ბრძანების საფუძველზე და რომლის სათაურიდანაც ნათლად იკვეთება, რომ ამ კომისიის შექმნის მიზანია „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" კულტურის ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტების შესწავლა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება. ამდენად, დადგენილი და დადასტურებულია, რომ კომისიას საერთოდ არ შეუსწავლია წარმოადგენდა თუ არა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო" კულტურის უძრავ ძეგლს, რითაც დაარღვია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 15.1 მუხლი, რომლის თანახმადაც ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან. ამავე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ვერ ხერხდება ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა, ასევე როდესაც მის ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები გადამოწმებას ან დამატებით შესწავლას საჭიროებს, მინისტრი უფლებამოსილია მაინც შეიტანოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში. ამ მომენტიდან მასზე ვრცელდება ამ კანონის VI და IX თავებით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. აღსანიშნავია, რომ კომისიამ არ გამოითხოვა და არ განიხილა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კვლევის შედეგები, რომლებიც საფუძვლად დაედო ძეგლისათვის სტატუსის მინიჭებას.
უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აღიარებს, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა არ განხორციელებულა "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, რადგან სამინისტროს მიერ განხორციელდა არა ძეგლის სტატუსის მოხსნა, არამედ სადავო ბრძანებით ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 30 მარტის #3/133 ბრძანება საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის მოცემული ბრძანების დანართში უკანონოდ ასახვის გამო. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამგვარად განხორციელებული საჯარო უფლებამოსილება კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან ცალსახაა, რომ სწორედ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოხდა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს“ როგორც კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის გაუქმება,მოხსნა.

არასწორია, საფუძველს მოკლებული და არ უნდა იქნეს გაზიარებული საქართველოს მთავრობის მოსაზრება მასზედ, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორები არ წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს, ვინაიდან არ არის დადასტურებული მათ კანონიერ ინტერესზე პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი, რომ " ორჰუსის" კონვენციის თანახმად პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო კონსტიტუციით და "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მინიჭებული უფლება - ფლობდნენ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, უზრუნველყონ მისი დაცვა და შენარჩუნება არ შეიძლება განმარტებული იქნეს იმდაგვარად, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება გაასაჩივროს სამინისტროს მიერ ხსენებულ საკითხზე მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეშლასთან. ზემოაღნიშნული ნორმების ამგვარი განმარტება არასწორია, ვინაიდან დასახელებული ნორმებით ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველყოფის უფლება გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყოველგვარი საშუალების, მათ შორის სამართლებრივი საშუალების (ადმინისტრაციული საჩივრის, ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრა) გამოყენების უფლებას.
სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები, სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლი.

3. სასარჩელო მოთხოვნა
ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. მიგვაჩნია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც სზაკ-ის მე-601 მუხლის თანახმად ექვემდებარება ბათილად ცნობას. კერძოდ:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184.1 მუხლის თანახმად თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეებმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქართველოს მთავრობაში წარადგინეს ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც საქართველოს მთავრობის კანცელარიაში რეგისტრირებულია და კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი 2013 წლის 05 აგვისტოდან თანახმად სზაკ-ის 184.1 მუხლისა შეჩერდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების მოქმედება (სუსპენზიური ეფექტი), შესაბამისად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების შესრულების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობა ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით კანონსაწინააღმდეგოა და დაუშვებელია. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გასაჩივრებული ბრძანებით შინაარსობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო ვალდებულებებია დადგენილი. კერძოდ: ამ ბრძანებით სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დაევალათ დაუყოვნებლივ განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით, ხოლო ამავე დროს კომპანია რმჯ-ის მიეცა თანხმობა აწარმოოს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში ისეთი საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებს, ან არ შეუქმნის დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს. აქედან გამომდინარე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი თანახმად სზაკ-ის მე-60 1.1 მუხლისა.
სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის "„ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1433, 04/10/2013 და „დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1435, 04/10/2013

საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს თანახმად სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს მთავრობას უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის #1433 და #1435 განკარგულებები გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და სზაკ-ის მე-601 მუხლის თანახმად ექვემდებარება ბათილად ცნობას, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ არასწორად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორები არ წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს, აღნიშნულით კი თავი აარიდა ადმინისტრაციულ საჩივარში სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს № 03/130 ბრძანება) ბათილობის საფუძვლებთან დაკავშირებით წარმოდგენილ საფუძვლიან პრეტენზიების განხილვა, გამოკვლევასა და შეფასებას.

სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულება.

საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს თანახმად სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს მთავრობას უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და სზაკ-ის მე-601 მუხლის თანახმად ექვემდებარება ბათილად ცნობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეებმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქართველოს მთავრობაში წარადგინეს ადმინისტრაციული საჩივრები, რომელიც საქართველოს მთავრობის კანცელარიაში რეგისტრირებულია და კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი 2013 წლის 05 აგვისტოდან თანახმად სზაკ-ის 184.1 მუხლისა შეჩერდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების მოქმედება (სუსპენზიური ეფექტი), შესაბამისად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების შესრულების მიზნით ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობა ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით კანონსაწინააღმდეგოა და დაუშვებელია.

სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.სზაკ-ის 53-ე, 96-ე, 184-ე მუხლები.

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1. დაევალოს მოპასუხეებს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულყოფილად წარმოდგენა.

შენიშვნა-23

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☒		

...

სარჩელის ფასი *შენიშვნა-25*	—	ლარი
სახელმწიფო ბაჟი *შენიშვნა-26*	—	100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.		

შენიშვნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☒	მტკიცებულება: ადმინისტრაციული საჩივარი
არა	☐	რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე მხარეთა შორის მორიგება შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან დავა მოსარჩელისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
25 წუთზე მეტი რადგან დავა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება კანონდარღვევით.

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 *შენიშვნა-34*

დანართი #1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის # 03/108 ბრძანება.

დანართი #2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის #03/82 ბრძანება;

დანართი #3. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 ივლისის განცხადება;

დანართი #4. კომპანია "არემჯი"-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ზურაბ ქუთელიას მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის 2013 წლის 26 აპრილს გაგზავნილი წერილი №034/13;

დანართი #5. ამონარიდები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარდგენილი 2007, 2008, 2009 და 2010 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშებიდან;

დანართი #6. არმეჯი-ის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია;

დანართი #7. საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ 2013 წლის 8 ივლისის გაგზავნილი წერილი #01/13-2685;

დანართი #8. პრემიერ მინისტრის 2013 წლის 1 მაისის წერილი # 14962.

დანართი #9. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არეოლოგიური ცენტრის უფროსის, ზურაბ მახარაძის 2013 წლის 21 ტებერვლის #01/01-200 წერილი საქართველოს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს, ქალბატონ მარინე მიზანდარს.

დანართი #10. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა;
დანართი #11: ტექნიკურ მეცნირებათა კანდიდატისა და აკადემიურ დოქტორის, ნ. შეყრილაძეს და ტექნიკურ მეცნირებათა კანდიდატისა და აკადემიურ დოქტორის რ. მიხელსონის დასკვნა
დანართი #12: საქართველოს არექეოლოგიური კომისიის მიერ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, ქალბატონი ირინე ღამბაშიძის სახელზე 2005 წლის 16 მაისს გაცემული ნებართვის ასლი
დანართი #13: საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის უფროსის, ზ. მახარაძის 2013 წლის 11 ივნისის წერილი
დანართი #14. ყაჩაღიანის უბნის ისტორიული მაღაროს გეოლოგიური და საინჟინრო მომიხილვა, ა.თვალჭრელიძე და ო.ქუცნაშვილი.
დანართი #15: ამონარიდი მადნეულისა და კვარციტის 2010 და 2011 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშიდან საყდრისის ოქრო-სპილენძის საბადოსთან დაკავშირებით
დანართი #16. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 27 ივნისის წერილი
დანართი #17. სსიპ გრიგოლ წულიკიძის სამთო ინსტიტუტის დირექტორის, ნიკოლოზ ჩიხრაძის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისადმი გაგზავნილი წერილი # 07.01-10/119, 10.07.2013
დანართი #18. საყდრისი ყაჩაღიანის უბნის უძველესი სამთამადნო ძეგლის შესახებ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის მყარი წიაღისეულის განყოფილების გამგე, გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი ვ.გეელეიშვილისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორის ნ. ქაჯაიას დასკვნა.
დანართი #19. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტენიკური ცენტრი „დელტას“ სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „საყდრისი უძველესი მაღაროს მადნური ქანების კვლევა.
დანართი #20. ამონარიდი მადნეულისა და კვარციტის 2011 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშიდან
დანართი #21. შპს ჯეოინჟინირინგის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
დანართი #22. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისათვის არემჯი გოლდის გენერალური დირექტორის მიერ 2013 წლის 27 მაისის გაგზავნილი წერილი#341.
დანართი #23: მწვანე ალტერნატივასა და ირინა ღამბაშიძის ადმინისტრაციული საჩივარი;
დანართი #24: დავით სახვაძის, მარინე ცინცაბაძის, ჯუმბერ ხანთაძის, გიგო ჯანდიერის ადმინისტრაციული საჩივარი;
დანართი #25: საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 23 აგვისტოს #27617 წერილი.
დანართი #26. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის განკარგულება
დანართი #27. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 26 სექტემბრის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი.
დანართი #28. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანება.
დანართი #29. მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივარი;
დანართი #30. „ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1433, 04/10/2013
დანართი #31. დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივარი

დანართი #32. „დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება საქართველოს მთავრობა №1435, 04/10/2013
დანართი #33. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულება.
დანართი #34. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
დანართი #35. რწმუნებულება
დანართი #36. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 105

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

....

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო გუჯარაიძე, ასოციაცია მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორი დავით სახვაძე	19 ოქტომბერი, 2013
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შე სების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.